პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 25 ივლისი, 1943 წ. № 157 (6782). ფასი 20 კაპ.

სოციალისტური სამშობლოს მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი

მთელი ჩვენი ქვეყანა კანონიერი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტრადიციულ დღესასწაულს.

სახელოვანი მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჰყავს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს.

მრისხანე სახაზო გემები, კრეისერები, წყალქვეშა ნავები—თანამედროვე რთული სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი შესანიშნავი საბრძოლო ხომალდები შეჰქმნეს საბჭოთა გემთმშენებლებმა. აღიზარდნენ საბჭოთა მეზღვაურების ბრწყინვალე კადრები, ზღვებისა და ოკეანეების უშიშარი რაინდები, რომლებმაც მრავალი საგმირო ფურცელი ჩასწერეს სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობითა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით შექმნილი წითელი ფლოტი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის პირმშოა, წითელ არმიასთან ერთად სამშობლოს ინტერესების გმირი დამცველი.

ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში, ბალტიის ზღვაში, შავ ზღვაში—ყველგან უშიშრად და მამაცურად იბრძვიან წითელფლოტელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები. გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ვითარებაში ჩვენმა სახელოვანმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა გამანადგურებელი დარტყმები აგემა ვერაგ მტერს. ჩაიფუშა ჰიტლერელ ავაზაკთა მუხანათური გეგმები ელვისებური დარტყმით მოესპოთ ჩვენი ფლოტი. ტაკიმასხარა გებელსს არა ერთხელ გამოუცხადებია, საბჭოთა ფლოტი მოსპობილიაო, მაგრამ სწორედ ეს ფლოტი ურტყამს მტერს ასე გამანადგურებლად, სწორედ ეს ფლოტი დგას მრისხანე ციხე-სიმაგრედ ჩვენი სამშობლოს ზღვებსა და ოკეანეებში.

სამამულო ომის ფრონტებზე მეზღვაურთა გმირულ ბრძოლებში სცოცხლობს და დღეგრძელობს ადმირალების ნახიმოვისა და კორნილოვის, მატროსების ჟელეზნიაკოვის, კოშკას, ლეიტენანტ შმიდტის სახელოვანი ტრადიციები, გამრავლებული ათეულათასობით წითელფლოტელის მამაცობაზე.

ლენინის ქალაქის, ოდესის, სევასტოპოლისა და სტალინგრადის ლეგენდარული დაცვა განუყოფელად დაკავშირებულია ჩვენი მამაცი ფლოტელების გმირულ ბრძოლასთან, მათ საამაყო სახელებთან, მათ უმაგალითო თავდადებასთან.

სევასტოპოლის დაცვის ისტორიულ დღეებში ხუთმა საბჭოთა მეზღვაურმა წელზე გრანატები შემოირტყა, ისინი ტანკებს შეუვარდნენ და ააფეთქეს თავისთავთან ერთად. მტერმა ვერცერთი ნაბიჯი წინ ვეღარ გადმოდგა.

შავი ზღვის ფლოტის სახელოვანმა გემებმა გმირული ფურცლები ჩასწერეს სამამულო ომის ისტორიაში. აქ ისახელა თავი მამაცმა და უშიშარმა მფრინავმა ალექსანდრე წურწუმიამ, შავზღველი მეზღვაური იყო საბჭოთა კავშირის გმირი ზემდეგი ნოე ადამია, რომელმაც 250 ჰიტლერელი მოსპო. შავი ზღვის ფლოტმა აღზარდა საბჭოთა კავშირის გმირი არკადი გეგეშიძე.

ქართველი ხალხის ბევრი მამაცი შვილი იბრძვის სახელოვან წითელფლოტელთა რიგებში.

ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიძლიერის მკაფიო მაჩვენებელია მთელი რიგი სამხედრო გემების გვარდიულ ხომალდებად გარდაქმნა. მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს გვარდიულ კრეისერ „კრასნი კავკაზს“, რომელმაც დიდებით შეამკო საბრძოლო დროშები. ასეთივე საბრძოლო გზა განვლო გვარდიულმა კრეისერმა „კრასნი კრიმმა“. ჩვენი ნაღმოსნები, წყალქვეშა ნავები, ტრალერები, კატერები—ყოველგვარი სახის საბრძოლო ხომალდები, დიდი თუ პატარა, ერთნაირი ძმაფრი სიძულვილით იბრძვიან გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ და გვიჩვენებენ სოციალისტური სამშობლოსადმი გულმხურვალე სიყვარულის, პატრიოტული ერთგულების აღმფრთოვანებელ მაგალითებს.

ქართველ ხალხს არასოდეს დაავიწყდება გასულ წელს კავკასიისათვის წარმოებული ისტორიული ბრძოლები. იმ დაძაბულ დღეებში კავკასიაში ჩამოვიდა დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფე ანხანაგი ლავრენტი **ბერია,** რომელმაც დიდი ბელადის დავალებით მოაწყო ამიერ-კავკასიის მისადგომების დაცვა, შეამჭიდროვა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხთა ძალები მტრის გასანადგურებლად. და კავკასიონის ბჭესთან დამსხვრეულ იქნენ ჰიტლერელთა ურდოები. ამ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის სასწაულები გვიჩვენეს უშიშარმა შავზღველებმა.

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს თავისი მძლავრი ფლოტით, უსაზღვროდ უყვარს იგი და აფასებს მას. ბევრი წითელფლოტელი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა, ბევრის მკერდს უმაღლესი ჯილდოები, ორდენები და მედლები ამშვენებს.

სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში ჩვენი მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი მრისხანე ციხე-სიმაგრედ დგას და დაუნდობლად ანადგურებს ვერაგ მტერს. ახლოა ჰიტლერული ტირანიის სრული მოსპობის ჟამი. ამ დღის მოახლოებას აჩქარებს წითელი ფლოტის გმირული ბრძოლა სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

სახელი და დიდება ჩვენს მძლავრ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

ლენინ - სტალინის ძლევამოსილი დროშით, საბჭოთა კავშირის მარშალ დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით წინ, გამარჯვებისაკენ!

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. **ბოლქვაძე** სოლომონ მოსესიძე — პოლკოვნიკი
2. **გუმბარიძე** გრიგოლ ივანესიძე — პოდპოლკოვნიკი
3. **მელქაძე** შალვა ივანესიძე — პოლკოვნიკი
4. **რაზმაძე** ილია ომაინისიძე — პოლკოვნიკი
5. **წიკლაური** შალვა ალექსის-ძე—კაპიტანი.

მედლით „მამაცობისათვის“

1. **სულაქველიძე** გიორგი კონსტანტინესიძე — უმცროსი ლეიტენანტი
2. **ხერგიანი** გაბრიელ გიორგისიძე — წითელარმიელი
3. **ხერგიანი** ბეჭნუ ბესარიონისიძე—წითელარმიელი.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება კუნძულ სიცილიაზე

ლონდონი, 24 ივლისი (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შტაბი იუწყება, რომ კატანიის სამრეთით მტერი გაფანტულ წინააღმდეგობას უწევს ინგლისის მე-8 არმიის მიწოლას.

ამერიკის ჯარები განაგრძობენ მტრისაგან კუნძულის დასავლეთი ნაწილის გაწმენდას. მე-7 არმიამ ხელთ იგდო ბევრი ტყვე და დიდძალი საუერველი.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, არსებული ცნობებით, სიცილიის დასავლეთ ნაწილში პალერმოსაკენ ამერიკელთა ჯარების წინწაწევის შედეგად მოწყვეტილია მტრის 45.000 ჯარისკაცი.

როგორც ალჟირის რადიო გადმოგვცემს, ამერიკელთა ჯარებმა, რომლებმაც პალერმო დაიკავეს, აღმოაჩინეს, რომ ქალაქის ყველა სამხედრო ნაგებობა დაუზიანებელი დარჩა.

აუგუსტის საზღვაო ბაზის სარდალი, იტალიელი ადმირალი ლეონარი ტყვედ არის წაყვანილი.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა კრეჯაზე

ლონდონი, 24 ივლისი (საკადესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ დღისით ინგლისისა და საბერძნეთის ავიაციის დიდმა შენაერთებმა ძლიერ დაბომბეს მტრის ჯარები და ნაგებობანი კუნძულ კრეტაზე. აფეთქებულია საწყობი სომარ მასალიანად. მოკავშირეთა ავიაციამ წარმატებით მიტანა იერში მტრის ბანაკებზე, საარტილერიო პოზიციებზე, ავტომანქანებსა და ხაზიდრებზე. აღნიშნულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა იერაპეტრასა და ჰერაკლეიონში მდებარე ქარხნებს.

გუშინ მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა იტალიელთა აეროდრომების დაბომბვას აკვინოსა და კროტონეში. მძიმე ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ლეეერნონზე. ბომბები გასცდა ობიექტების რაიონში.

ჰიტლერული ფერორის 750.000 მსხვერპლი ჩეხოსლოვაკიაში

ლონდონი, 24 ივლისი (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, დოქტორმა რუბერტ რიპკამ ლონდონში სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის დროიდან—1939 წლის მარტიდან მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვებამდე გერმანელებმა წამებით დახოცეს 50.000 ჩეხოსლოვაკიელი ქალი და კაცი. ამავე ხნის განმავლობაში საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნილია დაახლოებით 200.000 და საკატორღო სამუშაოებზე—ნახევარ მილიონზე მეტი კაცი. ამ რიცხვში არ შედის ათიათასობით მოკლული, დაპატიმრებული ან გაძევებული ჩეხი ებრაელი.

მოყვანილი ციფრები მოწმობენ ოკუპანტებისადმი ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის სასტიკ და შეუპოვარ წინააღმდეგობას.

რომის მოსახლეობის ევაკუაცია

ნიუ-იორკი, 24 ივლისი (საკადესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ბერნელი კორესპონდენტი იმოწმებს ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებულ ცნობებს და გადმოგვცემს, რომ ყოველდღე რომიდან სხვადასხვა პუნქტში, რომლებიც ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობენ, გაჰყავთ 150.000 კაცი სამოქალაქო მოსახლეობიდან. მცხოვრებნი მასობრივად გარბიან რომის აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილებიდან

არსებული ცნობებით, აღნიშნავს კორესპონდენტი, იტალიის მთავრობის დაწესებულებებს გადაეცემთ თავიანთი არქივები ან სწყვავენ მათ.

ინგლისს გაუდაეცა ამერიკის სავაჭრო გემები

ნიუ-იორკი, 24 ივლისი (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, სესხად ან იჯარით საუერველის გადაცემის კანონის განმახორციელებელმა ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ა. შ. შტატები აღნიშნული კანონის საფუძველზე ინგლისს აძლევენ „ლიბერტის“ ტიპის სავაჭრო გემებს ინგლელთ ნაწილში

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ამხ. როკოსოვსკის
არმიის გენერალ ამხ. ვასილევსკის
გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. პოპოვს

გუშინ, 23 ივლისს, ჩვენი ჯარების წარმატებითი მოქმედებით საბოლოოდ ლიკვიდირებულია გერმანელთა ივლისის შემოტევა ორიოლის სამხრეთით და ბელგოროდის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებიდან კურსკისაკენ.

5 ივლისის დილიდან გერმანელ ფაშისტთა ჯარები ტანკებისა და ქვეითთა დიდი ძალებით, მრავალრიცხოვანი ავიაციის დახმარებით, შეტევაზე გადმოვიდნენ ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდ-კურსკის მიმართულებებით.

გერმანელებმა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ შეტევაში გამოიყვანეს თავისი მთავარი ძალები, რომლებიც ორიოლისა და ბელგოროდის რაიონებში იყვნენ თავმოყრილნი.

როგორც ახლა ცხადი გახდა, გერმანელთა სარდლობამ ბრძოლაში გამოიყვანა: ორიოლ-კურსკის მიმართულებით—7 სატანკო, 2 მოტორიზებული და 11 ქვეითი დივიზია და ბელგოროდ-კურსკის მიმართულებით—10 სატანკო, ერთი მოტორიზებული და 7 ქვეითი დივიზია.

ამნაირად, მოწინააღმდეგის მხრივ შეტევაში მონაწილეობას იღებდა გერმანელთა სულ 17 სატანკო, 3 მოტორიზებული და 18 ქვეითი დივიზია.

თავი მოუყარა რა ამ ძალებს ფრონტის ვიწრო უბნებზე, გერმანელთა სარდლობა ვარაუდობდა კონცენტრიული დარტყმებით ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კურსკისაკენ საერთო მიმართულებით გაერღვია ჩვენი თავდაცვა, გარშემორტყმოდა და მოესპო ჩვენი ჯარები, რომლებიც კურსკის შვერილის რკალზე იყვნენ განლაგებულნი.

გერმანელთა ამ ახალმა შემოტევამ მოუმზადებელს როდი მოუსწრო ჩვენს ჯარებს. ისინი მზად იყვნენ არა მარტო მოეგერიებინათ გერმანელთა შემოტევა, არამედ მძლავრი კონტრდარტყმებიც ეგემებინათ მათთვის.

უდიდესი ზარალის ფასად ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, მოწინააღმდეგემ მოახერხა მარტო სოლოვით შემოვრილიყო ჩვენს თავდაცვაში ორიოლ-კურსკის მიმართულებით ცხრამდე კილომეტრი სიღრმით და ბელგოროდ-კურსკის მიმართულებით—15-დან 35 კილომეტრამდე. გააფთრებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა მოჰქანცეს და სისხლისაგან დასცალეს გერმანელთა რჩეული დივიზიები და შემდგომი გადამწყვეტი კონტრდარტყმებით არა მარტო უკუაგდეს მტერი და მთლიანად აღადგინეს მდგომარეობა, რომელიც მათ 5 ივლისამდე ეკავათ, არამედ მტრის თავდაცვაც გაარღვიეს და ორიოლისაკენ 15-დან 25 კილომეტრამდე წაიწიეს.

გერმანელთა შემოტევის ლიკვიდაციისათვის ჩატარებულმა ბრძოლებმა გვიჩვენეს ჩვენი ჯარების მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობა, ყველა სახეობის ჯარების მებრძოლებისა და მეთაურების, მათს რიცხვში არტილერისტებისა და ნაღმმტყორცნელების, ტანკისტებისა და მფრინავების შეუპოვრობის, სიმტკიცისა და გმირობის სწორუპოვარი ნიმუშები.

ამნაირად, გერმანელთა გეგმა ზაფხულის შემოტევისა სავსებით ჩაშლილად უნდა ჩაითვალოს.

ამით გამოაშკარავებულია ლეგენდა იმის შესახებ, რომ ზაფხულში გერმანელები შეტევაში მუდამ წარმატებებს აღწევენ, ხოლო საბჭოთა ჯარები თავთქოს იძულებული არიან უკან იხევდნენ.

გერმანელთა შემოტევის ლიკვიდაციისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს: გენერალ-ლეიტენანტ პუხოვის, გენერალ-ლეიტენანტ გალანინის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ როდინის, გენერალ-ლეიტენანტ რომანენკოს, გენერალ-ლეიტენანტ კოლპაჩჩის, გენერალ-ლეიტენანტ ჩისტიაკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კატუკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ როტმისტროვის, გენერალ-ლეიტენანტ უადოვის, გენერალ-ლეიტენანტ შუმილოვის, გენერალ-ლეიტენანტ კრიუჩონკინის ჯარებმა და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ გოლოვანოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ კრასოვსკის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რუდენკოს და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ნაუმენკოს საავიაციო შენაერთების მფრინავებმა.

5-დან 23 ივლისამდე ბრძოლების დროს მოწინააღმდეგეს შემდეგი ზარალი მოუვიდა: მოკლულია ჯარისკაცი და ოფიცერი 70.000-ზე მეტი, დაზიანებული და მოსპობილია ტანკები 2.900, თვითმავალი ქვემეხები—195, საველე ქვემეხები—844, მოსპობილია თვითმფრინავები 1.392 და ავტომანქანები 5.000-ზე მეტი.

მოგილოცავთ თქვენ და თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ჯარებს გერმანელთა ზაფხულის შემოტევის ლიკვიდაციის წარმატებით დამთავრებას.

მადლობას ვუცხადებ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ჯარების ყველა მებრძოლს, მეთაურსა და პოლიტმუშაკს საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლის ველზე ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლაში.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 24 ივლისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
24 ივლისის ოპერაციული ცნობა

24 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლის მიმართულებით განაგრძობდნენ შეტევას და, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს 5-დან 8 კილომეტრამდე და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათს რიცხვში რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური ზმიევკა.

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა შეტევის 5 დღის განმავლობაში სავსებით აღადგინეს მდგომარეობა, რომელიც მათ გერმანელ ფაშისტთა ჯარების შემოტევამდე, ე. ი. ამა წლის 5 ივლისამდე ეკავათ.

სამხრეთით, დონბასში, იზიუმის სამხრეთით მდებარე რაიონში და ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს.

კრასნოდარის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის იერიშებს ეწეოდნენ თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად.

23 ივლისის განმავლობაში სულ ფრონტებზე ჩვენმა ჯარებმა დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 43 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ყველა ფრონტზე ჩამოგდებულია მტრის 94 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას და იგერიებდნენ რა კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას.

ორიოლის ჩრდილოეთით მტერი ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი ჯარების წინსვლა და არაერთგზის გადმოვიდა კონტრიერიშზე. ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში, წინ წაიწიეს და დაიკავეს მტრის მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები ნ შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს ერთი დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს 9 ტანკი, 6 რადიოსადგური და ბევრი სასროული იარაღი. ტყვედწამოყვანილმა გერმანელმა ჯარისკაცებმა გვაცნობეს, რომ მათი ქვეგანაყოფები სასწრაფოდ იყვნენ ბრძოლის ადგილას გადმოყვანილნი სატრანსპორტო თვითმფრინავებით. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა, სდევნიდნენ რა უკანდახეულ გერმანელებს, დაიზიანეს და მოსპეს მტრის 6 ძმიმე ტანკი და მოსპეს 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის ბრძოლებს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გერმანელები ავიაციის ძალებით ცდილობენ შეაჩერონ საბჭოთა ჯარების წინსვლა. ჩვენი ავიაციის დიდი შენაერთები კონტრდარტყმებს აგემებენ მოწინააღმდეგეს. დღის განმავლობაში ბევრი საჰაერო ბრძოლა მოხდა. მარტო 6 ნაწილის მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 36 თვითმფრინავი. ჩვენმა ჯარებმა ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში გასწვიტეს 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 27 ქვემეხი, მათ შორის 3 თვითმავალი ქვემეხი. ბევრი ტყვიამფრქვევი, ავტომატი და 1 საწყობი სომარი მასალა.

ორიოლის სამხრეთით ნ შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს და 18 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ დასახლებული პუნქტებისათვის ბრძოლებში გაწყვეტილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მეავტომატეთა ქვეგანაყოფმა ლეიტენანტ პიდორენკოს მეთაურობით მტრის ზურგში შეაღწია. ჩვენი მებრძოლები შეიჭრნენ გერმანელთა ქვეითი პოლკის შტაბში და დახოცეს 60-მდე ჰიტლერელი, რომელთა რიცხვში ბევრი ოფიცერი იყო.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც მოიერიშე ჯგუფებად მოქმედებდნენ, გერმანელები განდევნეს ძლიერ გამაგრებული პოზიციებიდან. ნ გვარდიის ნაწილმა დაიკავა დასახლებული პუნქტი და მოსპო 200 ჰიტლერელი და მტრის 12 ტანკი. უმცროს ლეიტენანტ ივანოვის მოიერიშე ჯგუფი ღამით გერმანელთა პოზიციებთან მივიდა. გათენებისას წითელარმიელები უეცრად შეიჭრნენ მტრის სანგრებში და მტერი გააქციეს.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენი ნაწილები აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. საბჭოთა არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 20 ძ�იანი საცეცხლე წერტილი და ჩაახშეს 15 საარტილერიო და ნაღმმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ერთ უბანზე კონტრიერიშზე გადმოსული გერმანელთა ქვეითი ჯარი მოცელილ იქნა ჩვენი არტილერიის ცეცხლით. ჰიტლერელთა 2 ბატალიონი თითქმის მთლად გაწყვეტილია. სხვა უბანზე საბჭოთა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის 4 კონტრიერიში და პოზიციები გაიუმჯობესეს. ბრძოლის შედეგად გაწყვეტილია 400-მდე ჰიტლერელი. წითელ არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 257-ე ქვეითი დივიზიის 457-ე გრენადერთა პოლკის 37 გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენი გვარდიის ქვეგანაყოფი მოწინააღმდეგის სანგრებში შეიჭრა, მოსპო გერმანელები, რომლებმაც წინააღმდეგობა გასწიეს და დაკავებულ ზღუდეზე გამაგრდა. წამოეღებულია 12 ტყვიამფრქვევი. სხვა უბანზე ჩვენმა მზვერავებმა წარმატებით ჩაატარეს ღამის ძიება. საბჭოთა მებრძოლებმა მოსპეს ჰიტლერელთა ჯგუფი, ხელთ იგდეს ტყვეები და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

გომელის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა ორი ეშელონი ტანკებიანად და ქვემეხებიანად. დღეღამეზე მეტი ხნის განმავლობაში ჰიტლერელები ლიანდაგს სწმენდდნენ დამტვრეული ვაგონების ნამსხვრევების, დაზიანებული ტანკებისა და ქვემეხებისაგან. რკინიგზის სხვა ბაზზე რაზმ „ბოლშევიკის“ პარტიზანებმა ნაღმებზე აფეთქეს გერმანელთა სამხედრო მატარებელი.

* * *

ორიოლის რაიონში წითელი არმიის ნაზარზე გადმოსულმა გერმანელთა 102-ე ქვეითი დივიზიის ერთ-ერთი პოლკის ფელდფებელმა ლუდვიგ ნ-მ განაცხადა: „გერმანელთა ჯარების შეტევის პირველ დღეებში ოფიცრები ჯარისკაცებს არწმუნებდნენ, რუსთა ჯარების გარშემორტყმა კურსკის რაიონში დასასრულს უახლოვდებაო. მაგრამ ჩვენ მალე დავრწმუნდით, რომ კურსკზე შეტევა ჩაიფუშა. შემდეგ დაიწყო რუსთა შემოტევა. 102-ე დივიზიის ნაწილებს ნაბრძანები ჰქონდათ შეენარჩუნებინათ დაკავებული ზღუდეები, რადაც უნდა დასჯდომოდათ. მაგრამ ჩვენმა პოლკმა ვერ გაუძლო რუსთა შემოტევას და მძიმე ზარალით დაიხია უკან. 19 ივლისს საღამოს მე გავიგონე, რომ პოლკის მეთაურმა ოფიცრებს უთხრა: „არც ერთი ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა. საჭიროა ჯარისკაცებს სათანადო ფორმით ჩავაგონოთ, რომ ახლანდელი უკანდახევა ჩვენს უბანზე გამოწვეულია ფრონტის გამოსწორების საჭიროებით“. რაკი უიმედო მდგომარეობა დავინახე, გადავწყვიტე თავი გადამერჩინა და რუსებს დავნებდი“.

* * *

გერმანელების მიერ ოკუპირებულ ქალაქ სმოლენსკიდან გამოქცეულმა საბჭოთა მოქალაქეებმა გვიამბეს: „ორი წელია ჰგმინავენ სმოლენსკის მცხოვრებნი გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ. ამ ხნის განმავლობაში ჰიტლერელებმა წამებით დახოცეს და დახვრიტეს ათასობით სრულიად უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქე. გესტაპოს საპატიმროები და დილეგები სავსეა დაპატიმრებულებით. თვიდან თვემდე ჰიტლერელი ჯალათები სულ უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენენ. ივნისში, გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებამ გამოაცხადეს მობილიზაცია ყველა მცხოვრებისა 14-დან 65 წლის ასაკამდე, რომლებიც იძულებითს სამუშაოებში არ იყვნენ ჩაბმულნი.

მობილიზებულნი ძალით მიჰყავთ გერმანიის კატორღაში. ფაშისტი კაციჭამიები მშობლებს აშორებენ შვილებს და ობლებად აქცევენ მცირეწლოვან ბავშვებს. სმოლენსკის მცხოვრებნი ყოველგვარი საშუალებით არიდებენ თავს მობილიზაციას. მოსახლეობის გაქცევა რომ თავიდან აეშორებინათ, გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებამ, დახვრეტის მუქარით, აკრძალეს ქალაქის ფარგლებიდან ვასვლა“.

ადმირალი ნ. კუზნეცოვი

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი

სამხედრო-საზღვაო ფლოტი სამშობლოსათვის ბრძოლებში

სამხედრო-საზღვაო ფლოტს მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგებში. საბჭოთა ხალხი, ბოლშევიკების პარტიაც პირადად ამხანაგი სტალინი ყოველთვის გულგრილობენ ფლოტზე ყურადღებას უთმობდნენ ჩვენი სახელმწიფოს საზღვაო ძლიერების განმტკიცებას, ზრდიდნენ ფლოტს, როგორც საკვერელ პირმშოს. საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი მიმართული იყო მისაკენ, რომ ჩვენს ქვეყანას ჰქონოდა ძლიერი ფლოტი. ცოტა სიძნელის გადალახვა როდი მოგვიხდია ამ მიზნის მიღწევის გზაზე.

ძლიერი ფლოტის შექმნა მარტო დიდძალი ხომალდის შენება როდია, ხომალდებისა, რომლებიც აღჭურვილი არიან თანამედროვე ურთულესი ტექნიკითა და იარაღით, მეორე არანაკლებ პასუხსაგები საქმე იყო მრავალრიცხოვანი კადრების ყოველმხრივი მომზადება. საჭირო იყო მეთაურებისა და წითელფლოტელებისათვის გვესწავლებინა და აღგვზარდა ისინი ისე, რომ სრულყოფილად ჰქონოდათ დაუფლებული თანამედროვე ტექნიკა, ყოფილიყვნენ გაბედული და მამაცი მეომრები ბრძოლაში. საბჭოთა ხალხის, პარტიის ხელმძღვანელობისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის წყალობით ეს უძნელესი ამოცანაც გადაჭრილ იქნა.

დღეს, ფლოტის ტრადიციულ დღეს, საბჭოთა ხალხი სიამაყით შესცქერის თავის საზღვაო ძალებს და ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ ამაოდ არ ჩაუფლია იმ უდიდეს მეცადინეობას და საშუალებებს, რაც სახელმწიფომ ფლოტის შექმნის საქმეს მოახმარა.

აი უკვე 25 თვეა, რაც სამხედრო-საზღვაო ფლოტი მამაც წითელ არმიასთან ერთად იბრძვის ჩვენი სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სწყვეტს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის დიდ ამოცანებს.

ბოლშევიკების პარტიის მიერ რევოლუციური ტრადიციებით, რუსეთის ფლოტის გმირული წარსულით აღზრდილი მეზღვაურები უმაღლესი მთავარსარდლის—ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით თავდადებით ასრულებენ თავიანთ სამხედრო მოვალეობას.

ომს—საბრძოლო თვისებათა ამ მკაცრ გამოცდას, ფლოტის ხომალდები და პირადი შემადგენლობა ღირსეულად და სახელოვნად იტანენ. ფლოტის კადრები დღითი დღე ეუფლებოდნენ ზღვაში ომის გამოცდილებას, იძენდნენ გაკვეთილებს გააფთრებულ ბრძოლებში მტერთან. ფლოტის მეთაურთა კადრები ომის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ, დიდი საბრძოლო გამოცდილება შეიძინეს.

ძლიერი იყო შემოტევა მტრისა, რომელიც ვერაგულად, ავაზაკურად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. თავდასხმის ერთ-ერთ ობიექტად მტერმა აირჩია ფლოტის ბაზები და ნავსადგურები. ფაშისტთა ავიაციამ პირველი თავდასხმა სევასტოპოლზე 1941 წლის 22 ივნისს 2 საათსა და 45 წუთზე მოახდინა. მაგრამ გერმანელებმა ვერ მოახერხეს მოუმზადებელს დასხმოდნენ თავს ჩვენს სამხედრო-საზღვაო ბაზებსა და ხომალდებს. ყველგან—ბალტიკასა და შავ ზღვაში, დუნაზე, დნეპრის შენაკადებზე და ფრონტის განაპირა ფლანგზე—შორეულ იმიერპოლარეთში, მტერი შეხვდა საბჭოთა მეზღვაურების მამაცურ, მტკიცე, ორგანიზებულ თავდაცვას. მან ვერ მოახერხა ვერც ელვისებური დარტყმის განხორციელება ზღვიდან საბჭოთა საზღვაო ბაზებზე და ჩვენი ხომალდებისათვის ზარალის მიყენება.

ანხორციელებდნენ რა სევასტოპოლზე საჰაერო თავდასხმას, გერმანელები ამოცანად ისახავდნენ ტორპედებისა და ბომბების დარტყმით და ნაღმების ჩაწყობით სერიოზული ზარალი მიეყენებინათ შავი ზღვის ფლოტისათვის და შეებოჭათ მისი საბრძოლო მოქმედება. შავი ზღვის ფლოტმა დაუფარავ ნებლივ მიიღო ენერგიული საპასუხო ღონისძიებანი, მტერს ზარალი მოუვიდა და უკვე აღარ შეეძლო რამდენადმე სერიოზული ზიანის მოყენება.

სევასტოპოლის დაცვა, რომელშიც შავი ზღვის ფლოტმა თვალსაჩინო როლი შეასრულა, დიდი სამამულო ომის ისტორიაში შევა, როგორც მისი ერთ-ერთი უაღრესად ბრწყინვალე ფურცელი. ამ გმირი ქალაქის დამცველთა საგმირო საქმენი სამარადისოდ იბრწყინებენ

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მძლავრ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!



შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მამაცი მეზღვაურები. მარცხნიდან მარჯვნივ: წითელფლოტელი ალექსაია, 1-ლი სტატიის ზემდეგი ა. ლაბაძე და 1-ლი სტატიის ზემდეგი ა. ჭოხონელიძე.

კაპიტან-ლეიტენანტი ი. იოსელიანი

როცა სამხედრო გემი ზღვაშია და მტერზე ნადირობს, მეგობრები მოუთმენლად ელიან მის დაბრუნებას. უახლოვდება გემი სანაპიროს, და ყველა ანძას შესცქერის, ზედ თუნუქის თევზი ხომ არ ჰკიდიაო. თუნუქის თევზი გამარჯვების ნიშანია. რამდენიც თუნუქის თევზია ანძაზე, მტრის იმდენი ტრანსპორტი ჩაუძირავს გემს.

შავზღველებს დიდი შრომა სჭირდებათ მტრის ტრანსპორტის ჩასაძირავად. მტერმა იცის ჩვენი შავი ზღვის ფლოტის ძალა და ამიტომ ღია ზღვაში არ უშვებს ხომალდებს. მტრის სატრანსპორტო გემები ნაპირებს ეკვრიან; მათ იცავენ სანაპირო ბატარიები, მონადირე კატერები, თვითმფრინავები, წყალქვეშა ნავები. მიუხედავად ამისა, შავზღველები ახერხებენ მტრის ტრანსპორტთან შეუმჩნეველად მიპარვას. ასეთ მომენტში მნიშვნელობა აქვს წამს, და გმირი შავზღველებიც ოსტატურად იყენებენ ამ ერთ წამს. ზუსტად დამიზნებული ტორპედი მიჰქრის მტრის ტრანსპორტისაკენ, ჩვენი გემი კი უკვე განშორდა ბრძოლის ადგილს. მტრის დიდი სატრანსპორტო ხომალდი უკვე ზღვის ფსკერზე განიცვენებს. ნაპირებთან ზღვა ხშირად არც ისე ღრმაა და ჩაძირული ხომალდის ანძა მოსჩანს წყლიდან, როგორც მოწმე ჩვენი შავზღველების გამარჯვებისა.



კაპიტან-ლეიტენანტი ი. იოსელიანი

* * *

როცა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში მოკლედ სწერია — შავ ზღვაზე ჩაძირულია მტრის სატრანსპორტო ხომალდი, გახსოვდეთ, რომ ეს პატარა ფრაზა მოგვითხრობს შავზღველების დიდ გმირულ საქმეზე. ფოლადის ნერვები უნდა გქონდეს და ხომალდძოლის დიდი ოსტატი უნდა იყო, რომ მიუახლოვდე მტრის გამაგრებულ ნაპირებს, შეხვიდე სანაპირო ბატარიების ცეცხლის ზოლში, გაძვერე დანაღმულ უბნებში, მტრის გემიც ჩასძირო და მტრის კატერების, წყალქვეშა ნავების, თვითმფრინავების იერიშიც მოიგერიო.

აი სწორედ ასეთია 6 სამხედრო გემის უფროსი კაპიტან-ლეიტენანტი იაროსლავ იოსელიანი. მის გემზე თუნუქის 7 თევზი ჰკიდია, ნიშნად მტრის 7 ხომალდის ჩაძირვისა.

წარმოშობით სვანი, პროფესიით ნამდვილი მეზღვაური, იაროსლავ იოსელიანი მთელ შავი ზღვის ფლოტში ცნობილია როგორც გაბედული, უშიშარი მეზღვაური. იმავე დროს ი. იოსელიანი სამხედრო-საზღვაო საქმის დიდი მცოდნე, ხომალდძოლის დიდი ოსტატია. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ მისი და მისი ეკიპაჟის საბრძოლო ცხოვრების ერთი ეპიზოდი.

კაპიტან-ლეიტენანტი ი. იოსელიანი თავისი გემით შეუმჩნეველად შეიპარა მტრის ნავსადგურში. სანაპიროსთან იდგა 4 გემი. ბუქსირი, ხოლო ნაპირზე სამი მძიმედ დატვირთული საბარგო ავტო. გემებზე და სანაპიროზე გერმანელები ფუსფუსობდნენ. ეტყობა, გემების განტვირთვა დაიწყო.

ერთი წუთით გამოჩნდა იოსელიანის გემი ნავსადგურში და ამ ერთ წუთში მან მოასწრო გემის დათვალიერება, სამიზნო გემის ამორჩევა, დამიზნება და გასროლა. უზარმაზარი გემი აფეთქდა. მისმა აფეთქებამ გამოიწვია სანაპიროზე მდგომი ავტოების აფეთქებაც.

როცა გერმანელები გონს მოვიდნენ და ჩვენს გემს ძებნა დაუწყეს, იგი უკვე აღარ სჩანდა. აფოთქავდა სატორპედო კატერები, თვითმფრინავებიც გამოიძახეს, მაგრამ იოსელიანის გემი უვნებლად გადარჩა. დამშვიდდნენ გერმანელები. მეორედ ხომ არ მობრუნდება თავხედი გემიო. მაგრამ იოსელიანი მეორედ მიბრუნდა. მას კარგად ახსოვდა მტრის დიდი ტრანსპორტი, რომელიც ცოტა განზე იდგა და პირველი თავდასხმისას უფრებლად გადარჩა. ახლა ტორპედი სწორედ ამ გემს უმიზნა. ისევ აფეთქება და პანიკა სანაპიროზე. იოსელიანის გემს სატორპედო კატერები გამოუდგნენ, ორი მათგანი ჩასძირა და სამშვიდობოზე გავიდა.

და დღეს, როცა თქვენ ამ სტრიქონებს კითხულობთ, კაპიტან-ლეიტენანტ ი. იოსელიანის გემი შავი ზღვის ტალღებს მიანგრევს და მტრის ტრანსპორტებზე ნადირობს. შეიძლება მის ანძას ახლა არა 7, არამედ გაცილებით უფრო მეტი თუნუქის თევზი ამშვენებს. ამას მაშინ გავიგებთ, როცა ი. იოსელიანი და მისი მამაცი ეკიპაჟი ბაზაში დაბრუნდება.

იგორ ვსევოლოდჟსკი

პირველი სტატიის ზემდეგი ა. ჭოხონელიძე

ალბერტ სერგოს-ძე ჭოხონელიძე დაიბადა 1917 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ტბეთში. დაწყებითი სკოლა სოფელში დაამთავრა. 1930 წელს დაიწყო მუშაობა ზაჰესში, ჯერ ელექტრომონტიორის შეგირდად, ხოლო შემდეგ ელექტრომონტიორად. ამავე დროს სწავლობდა ელექტროტექნიკუმების სპეციალურ კურსებზე და 1934 წელს დაიწყო მუშაობა ელექტროტექნიკოსად. 1938 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში.

ამხ. ჭოხონელიძე მოხვდა სამხედრო-საზღვაო ფლოტში. რაკეველი ახალგაზრდა, რომელსაც არასოდეს ზღვა არ ენახა, მალე შეეგუა საზღვაო ცხოვრების მკაცრ და თავისებურ პირობებს და 1940 წელს უკვე უმცროსი მეთაურის წოდება მიიღო. თავის გემზე მას ანძარია სპასუხისმგებლო უბანი—გემის საჭის მოწყობილობა.

სამამულო ომის დაწყებიდან ამხ. ჭოხონელიძე ბრძოლებში იღებს მონაწილეობას. მან თავისი გემის ეკიპაჟთან ერთად მონაწილეობა მიიღო სევასტოპოლის დაცვაში, ფეოდოსიისა და ქერჩისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

ახლა ამხ. ჭოხონელიძე ნამდვილი მეზღვაურია — კუნთმაგარი, სახე გარუჯული და შეუპოვარი. მას არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი. მაგრამ ამას მოწმობენ მის მკერდზე დაკიდული მედლები „ბრძოლო დამსახურებისათვის“ და „სევასტოპოლის დაცვისათვის“.

გაკეთებული კი ცოტა რამ როდი აქვს I სტატიის ზემდეგს ამბრ ჭოხონელიძეს. მტრის ერთ-ერთი საჰაერო თავდასხმის დროს ბომბმა დააზიანა გემის საჭე. მდგომარეობა მეტად საშიში შეიქნა, რადგან გემს აღარ ჰქონდა მანევრირების საშუალება. ამხ. ჭოხონელიძემ საბრძოლო პირობებში შეაკეთა საჭე ნახევარ საათში, მაშინ როდესაც ამ მუშაობისათვის საჭიროა ერთი დღე მაინც.

ამხ. ჭოხონელიძეს მიუღია მონაწილეობა აგრეთვე მეზღვაურთა სადესანტო ოპერაციებში, სადაც იგი და მისი ამხანაგები დიდ ზიანს აყენებდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ამხ. ჭოხონელიძე ისევ თავის გემზეა და მტკიცედ იცავს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას.

ნ. ილოდვილი

კომენდორი ი. მიქაძე

ივანე ფილიპეს-ძე მიქაძე, ქ. ქუთაისის მცხოვრები, 1938 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. მის სხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იგი გაგზავნეს სამხედრო-საზღვაო ფლოტში, სადაც იგი გულმოდგინედ შეუდგა ქვემეხის შესწავლას და 2 თვის განმავლობაში საუკეთესოდ დაეუფლა მის ხმარებას.

1941 წლის ივნისში, როდესაც გერმანელ ფაშისტთა ბანდა თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს, კომენდორ მიქაძის ქვემეხიც ამოქმედდა საზღვაროზე მტრის წინააღმდეგ. მას შემდეგ მას მრავალ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. იგი თავისი ქვემეხით ანადგურებდა გმირ ქალაქ სევასტოპოლზე შემოსეულ მტერს გემიდანაც და, როცა საჭირო შეიქნა, ხმელეთიდანაც. სევასტოპოლის მისადგომებზე ქართველი მიქაძე რუს კარატაევთან, უკრაინელ კრავჩენკოსთან და თათარ კულიდობროვთან ერთად იგერიებდა მტრის შემოსეულ ტანკებს, თვითმფრინავებსა და ქვეითს ჯარს. სევასტოპოლის გმირული დაცვის 230 დღეში მარტო იმ ქვემეხმა, რომელსაც ამხ. მიქაძე მეთაურობდა, დიდი ზიანი მიაყენა მტერს. მან ჩამოაგდო მტრის 2 „ჰაინკელი“, 3 „იუნკერსი“, გაანადგურა რამდენიმე ტანკი და დიდძალი ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

ვინო მიქაძე ამჟამად კვლავ თავის საყვარელ გემზეა და ძველებურად ანადგურებს მტერს ზღვაზე და ჰაერში. მის ბატარიას ჩამოგდებული ჰყავს მტრის 22 თვითმფრინავი. ეს რიცხვი იზრდება.

ამ დღეებში ჰაერში გამოჩნდა მტრის ბომბდამშენი. ბატარიამ მას ცეცხლი დაუშინა და 4 გასროლის შემდეგ თვითმფრინავი ცეცხლის ალში გაეხვია.

კომენდორი ივანე ფილიპეს-ძე მიქაძე წარდგენილია მედლებზე „სევასტოპოლის დაცვისათვის“ და „წარჩინებული არტილერისტი“.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტი გ. ზანგალაძე



შავი ზღვის ფლოტი. სურათზე: მე-2 სტატიის ზემდეგი ერმოლენკო კრეისერ „კრასნი კრიმის“ სატორპედო აპარატთან სა ბრძოლო ლაშქრობის დროს.

(საკლესის ფოტოქრონიკა).

კარლო კალაძე

შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებს

მეზღვაურებო! სიმღერა ზღვისა
კავკასიონის კლდეებს უმღერის!
კლდეებს მკერდი აქვთ თეთნულდის ქვისა,
გული ვაუკაცის წარბ-განუხრელის...

მეზღვაურებო! — სიმღერა თქვენი
ზღვის ქარიშხლიან ღელვად მქუხარებს!—
ვერ გადურჩება ვერაგი მტერი
თქვენს ვაუკაცობას, და თქვენს ყუმბარებს.

ბრძოლები დასაყრდენი პუნქტებისათვის

გელგოროდის მიმართულება, 24 ივლისი (საკლესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ბრძოლები არ სწყდება არც დღისით და არც ღამით. მტერს, მიუხედავად დიდი ზარალისა, ხშირად კონტრიერიშებზე გადმოჰყავს ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. ჩვენი ნაწილები სტეხენ მტრის წინააღმდეგობას და წინ მიიწევენ. ნ ნაწილის ქვეგანაყოფებმა გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ერთი დასახლებული პუნქტი, რომელთანაც გერმანელები განსაკუთრებული შეუპოვრობით გვიწევდნენ წინააღმდეგობას. სამი საათის დაძაბული ბრძოლის შემდეგ მეორე ნაწილის ქვეგანაყოფებმაც დაიკავეს დასახლებული პუნქტი, რომელიც მტრის წინააღმდეგობის კვანძს წარმოადგენდა.

ერთ უბანზე გერმანელებმა მიწაში ჩაჰფლეს 18 თავისი ტანკი და უძრავ საცეცხლე წერტილად აქციეს ისინი. ფაშისტთა სარდლობის განზრახვით, ტანკების ცეცხლს გზა უნდა გადაეღობა საბჭოთა ჯარებისათვის დასაყრდენი პუნქტისაკენ. საბჭოთა არტილერისტებმა და ტანკისტებმა ავიაციის დახმარებით გადალახეს ეს საცეცხლე ესფარი და თავდაცვა გაარღვიეს. ამ განარღვევით გაექანა ჩვენი ქვეითი ჯარი. გაჩაღდა ქოჩის ბრძოლა, რომელშიც დასაყრდენი პუნქტის ბედი გადაწყვეტა ჩვენი მეომრების სიმარდემ, რომლებიც უშიშრად შეიჭრნენ მტრის სანგრებსა და ძელშეწყობ საცეცხლე წერტილებში.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევაში, მტრის დასაყრდენი პუნქტების განადგურებაში მცირე როლს როდი ასრულებენ მეიერიშე ჯგუფები, რომლებიც შესდგებიან მსროლელების, მეავტომატეების, ჯავშანმტვრეველების, მესანგრეებისა და მეკავშირეებისაგან. ეს მცირე, მაგრამ კარგად შერჩეული რაზმები განსაკუთრებული სიმტკიცითა და გამბედაობით მოქმედებენ. მეიერიშე ჯგუფმა უმცროს ლეიტენანტ ივანოვის მეთაურობით გადალახა 800 მეტრი სიგრცის უბანი, რომელსაც ფაშისტები ყოველი მხრიდან უშენდნენ, გერმანელთა სანგრებში შეიჭრა და ხელჩართული ბრძოლა გააჩაღა. გერმანელებმა ვერ შესძლეს დიდ ხანს შეეინარჩუნებინათ თავიანთი ზღუდე, უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს თავისი იარაღის ძნიშვნელოვანი ნაწილი. წითელარმიელებმა სანგრები დაიკავეს. მაშინვე გამაგრდნენ შიგ და, როდესაც მტერმა სცადა ზღუდე დაებრუნებინა, ისინი ჰიტლერელებს ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით შეხვდნენ. მეიერიშე ჯგუფის ცეცხლით გაელეტილ იქნა 35 ფაშისტი, დამსხვრეულ იქნა 3 დაზგისა და 3 ხელის ტყვიამფრქვევი, ჩახშობილ იქნა 2 სანაღმმტყორცნო ბატარიის ცეცხლი. მეიერიშე ჯგუფი მთელი დღე-ღამის განმავლობაში იბრძოდა, მაგრამ დაპყრობილი ზღუდე არ დაუთმია.

გ. კრილოვი

დაპყრობილ ზღუდეებზე

ორიოლის მიმართულება, 23 ივლისი (საკლესის სპეც. კორესპონდენტისაგან). წითელი არმიის ნაწილები სტეხენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას და ორიოლის სამხრეთით განაგრძობენ მის შეიერიშებას. ჰიტლერელები შეუპოვრად გვიწინააღმდეგებიან. ისინი არ კმაყოფილდებიან მარტო კონტრიერიშებით, აფეთქებენ და ნაღმავენ გზებს, ხიდებს, აწყობენ მახეებს. მაგრამ საბჭოთა მეომრები იჭრებიან მტრის გალავანებში და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მას.

ჩვენი შემტევი ქვეგანაყოფები მალე და მკვიდრად მაგრდებიან ყოველ ახალ ზღუდეზე და, როდესაც მტერი კონტრდარტყმას მიმართავს, ისინი გადადიან თავდაცვაზე. ქანცს აცლიან მტერს, უკანასკნელ დაძაბვამდე მიჰყავთ იგი, შემდეგ კვლავ იერიშზე გადადიან. დამახასიათებელია ამ მხრივ იმ ქვეგანაყოფის მაგალითი, რომლის მეთაურიც არის გვარდიის კაპიტანი დენისოვი. მისი ქვეგანაყოფი წინ გაიჭრა და უეცარი დარტყმით დაიკავა ტაქტიკური მხრივ ხელსაყრელი მაღლობი. სანამ მეზობელი ქვეგანაყოფები მარცხნივ და მარჯვნივ არ წამოწეულიყვნენ, ქვეგანაყოფს დამოუკიდებლად უნდა შეენარჩუნებინა მაღლობი. მეთაურმა სწრაფად მოაწყო ირგვლივ დაცვა და ამასთანავე გაითვალისწინა ყველა ტანკსაშიში მიმართულება, მაღლობის მისადგომები. გერმანელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სცადეს მაღლობის დაბრუნება. მათ მაღლობის წინააღმდეგ გამოუშვეს მცავტომატეთა ასეული და 10 ტანკი. ჰიტლერელებმა, რომლებსაც შეწყობილი ცეცხლით შეხვდნენ, უკან დაიხიეს, მაღლობის მისადგომებზე დასტოვეს 50-ზე მეტი გვამი და რამდენიმე ტანკი. შემდეგ კიდევ მოიტანეს კონტრიერიშები სხვა მიმართულებებით, მაგრამ შედეგი კვლავ იგივე იყო. გვარდიის კაპიტანმა დენისოვმა ამრიგად მოჰქანცა მტერი, კვლავ წაიყვანა წინ თავისი ქვეგანაყოფი და მტერს ახალი ზღუდე წაართვა.

დაპყრობილი ზღუდეების გამაგრებაში უდიდეს როლს ასრულებენ ჩვენი მესანგრეები. ისინი ჭმნიან დაბრკოლებებს ტანკსაშიში მიმართულებებით, ნაღმავენ საბჭოთა ქვეითი ჯარისა და არტილერიის ახალი პოზიციების მისადგომებს, გუშინ, მაგალითად, ლეიტენანტ სემენიხინის მესანგრეების მიერ ჩაწყობილ ნაღმებზე აფეთქდა ფაშისტთა 7 ტანკი, ხოლო ამ ქვეგანაყოფის საბრძოლო ანგარიშზე სულ უკვე ირიცხება მტრის 47 მოსპობილი ტანკი. საბჭოთა მესანგრეები აქ გულადობისა და საბრძოლო ოსტატობის ნამდვილ ნიმუშებს გვიჩვენებენ. კაპიტან ბადიშკეევის ქვეგანაყოფს დავალებული ჰქონდა მოკლე ხნის განმავლობაში სანაღმო დაბრკოლებით დაეფარა ფლანგი მაღლობისა, რომელიც ის-იყო წაართვეს გერმანელებს. მესანგრეებმა მტრის განლაგებაში შეაღწიეს და გერმანელთა 48 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი იპოვნეს. ჰიტლერელთა თავლწინ მებრძოლებმა ლეიტენანტ კოლოსოვის მეთაურობით დაიწყეს ერთი მინდვრის განაღმვა და მეორის დანაღმვა. ფაშისტებმა ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების სროლა გაუჩაღეს. მესანგრეები მუშაობას არ სწყვეტდნენ. მინდვრის თავზე გამოჩნდნენ მტრის ბომბდამშენები. რამდენიმე წითელარმიელი დაიჭრა, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ მუშაობას. გერმანელები იერიშით ეძგერნენ ერთ მუჭა მამაცებს. მესანგრეებმა ავტომატებს მოჰკიდეს ხელი და მტრის შემოტევა მოიგერიეს. დავალება მათ ვადაზე შეასრულეს. ფაშისტთა ვერც ერთმა ტანკმა ვერ შესძლო წინ გამოჭრილიყო. მანქანების ნაწილი ნაღმებზე აფეთქდა, მეორე ნაწილი კი იძულებული იყო უკან დაეხია.

ზ. ლიპავსკი

ბოლხოვი ჩვენია!

ორიოლის მიმართულება (საკლესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ბოლხოვი გერმანელ ფაშისტთა ჯარების ძლიერ გამაგრებული რაიონის წინააღმდეგობის უმნიშვნელოვანეს კვანძს წარმოადგენდა ორიოლის ჩრდილოეთით.

ჰიტლერელები წინააღმდეგობის ამ კვანძის შორეულ და ახლო მისადგომებზე დიდხანს ჰქმნიდნენ თავიანთ სიმაგრეთა ხაზებს. მთელი მიდამო დასერილია სანგრების ქსელით, მოწყობილია საცეცხლე წერტილები, ტყეებში გაკეთებულია ეკლიანი მავთულით შემოხლართული ხერგლები. ქალაქი გარშემოვლებული იყო მართვის ერთიანი სისტემის მქონე დიდი და პატარა დასაყრდენი პუნქტებით.

გაარღვიეს რა მტრის თავდაცვა, საბჭოთა მებრძოლები მძაფრად მიიწევდნენ წინ და ქალაქის ახლო მისადგომებზე გამოვიდნენ. ბრძოლებს შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა. ჩვენი ნაწილები ამსხვრევდნენ მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას.

ცდილობდნენ რა, რადაც უნდა დასჯდომოდათ შეეჩერებინათ წითელი არმიის შეტევა, გერმანელებმა ქალაქის რაიონში ფრონტის სხვა უბნებიდან თავი მოუყარეს ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდ რაოდენობას ჰიტლერელებს მრავალი კონტრიერიშე მოჰქონდათ და თითოეულ მათგანში 100-120 ტანკი და თვითმავალი ზარბაზანი გამოჰყავდათ. ჰაერიდან გერმანელთა სახმელეთო ნაწილებს თვითმფრინავთა დიდი ჯგუფები იცავდნენ. ჩვენს საბრძოლო წყობებზე განუწყვეტლივ ჩნდებოდნენ „იუნკერსები“, „ჰაინკელები“, „ფოკე-ვულფები“ და „მესერშმიტები“.

საბჭოთა ქვეითები, ტანკისტები, არტილერისტები და მფრინავები იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს, ამსხვრევდნენ მის წინააღმდეგობას და წინ მიიწევდნენ. გაჩაღებული ბრძოლები სავსე იყო წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა გმირობითა და მეომრული ოსტატობის მაგალითებით. კაპიტან ილიასოვის ტანკის ეკიპაჟმა ერთ სატანკო ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 9 მანქანა. ჯავშანმტვრეველთა ქვეგანაყოფებმა დღის განმავლობაში დასწვეს და დააზიანეს გერმანელთა რამდენიმე ათეული ტანკი. ქვეითი ჯარის ყველა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღი გამოყენებულ იქნა მოწინააღმდეგის ავიაციის წინააღმდეგაც.

ამ ხნის განმავლობაში მარტო ქვეითების ცეცხლით ჩამოგდებულია ფაშისტთა 12 თვითმფრინავი.

ოტატურად და მტკიცედ იბრძოდა ჩვენი გვარდიის ქვეითი ჯარი. მის სიმტკიცეზე იმსხვრეოდა ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში.

გვარდიის ერთ ჩვენს ქვეგანაყოფს პოზიციები ეჭირა პატარა ბალაში. გერმანელებმა ბალას დიდძალი საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლი დაატეხეს თავს. გვარდიელები გადამწყვეტი ნახტომით გასცდნენ ცეცხლის არეს და საიერიშოდ ეკვეთნენ გერმანელებს, რომლებიც მეზობელ მაღლობზე იყვნენ ჩასაფრებულნი. დარტყმა უეცარი და თავზარდამცემი იყო. ფაშისტებმა საბჭოთა მეომრების დარტყმების შედეგად უკან დაიხიეს. გვარდიელებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის მიერ ეს-ეს არის დატოვებული სანგრები და დაუყოვნებლივ გამაგრდნენ მათში. ფაშისტების მიერ მოტანილი ყველა კონტრიერიშე მოგერიებულ იქნა მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. მტრის ძალები რომ მოჰქანცეს, საბჭოთა მებრძოლნი შეტევაზე გადავიდნენ და ახალ წარმატებებს მიაღწიეს.

ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა ერთი დასაყრდენი პუნქტისათვის. საბჭოთა მებრძოლები ფლანგებიდან ურტყამდნენ, გარს ერტყმოდნენ და ხოცავდნენ გერმანელთა ცალკეულ გარნიზონებს. ქალაქის მისადგომებზე მომზდარი შეუპოვარი და ულისლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დათრგუნეს მტრის წინააღმდეგობა. შეიჭრნენ ქალაქის განაპირა უბნებში, შემდეგ კი მთლიანად დაიკავეს ბოლხოვი. მტრის თავდაცვის სისტემის ამ დიდმნიშვნელოვანი პუნქტის დაკავებით საბჭოთა ჯარებმა დაამთავრეს ორიოლის ჩრდილოეთით გერმანელთა ძლიერ გამაგრებული რაიონის ლიკვიდაცია.

თბილისის მოლოტოვის რაიონის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა თათბირი

22 ივლისს შესდგა ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა თათბირი.

თათბირი გახსნა მოლოტოვის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ცირეკიძემ.

რაიონის საწარმოებში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ლუარსაბოვი.

რაიონში გარკვეული მუშაობა ჩატარდა ფრონტელთა ოჯახების წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მუშაობის გასუმჯობესებლად. გაცემულია მილიონნახევარ მანეთამდე ფულადი სახელმწიფო დახმარება, სპბავშვო ბაღებსა და მოედნებზე მოწყობილია ფრონტელთა ათასზე მეტი ბავშვი, გახსნილია სპეციალური მაღაზია, შემკეთებელი სახელოსნო. საწარმოებსა და არტელებში სამუშაოდ მოწყობილია ფრონტელთა ოჯახების 2.000-ზე მეტი წევრი, რომელთა უმრავლესობა ქალებია. ისინი უკვე სხუკეთესოდ დაეუფლნენ ახალ პროფესიებს.

მაგრამ რაიონის ზოგიერთ საწარმოს ხელმძღვანელი, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები არა საკმაო ყურადღებას აქცევენ ფრონტელთა ოჯახის წევრების შრომის მოწყობის საკითხს. არასაკმაოდ ტარდება სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს შორის პოლიტიკურ-მასობრივი და ახსნა-განმარტებითი მუშაობა საწარმოებში სამუშაოდ მათი ჩაბმისათვის. ზოგან სამუშაოზე მოსულებს ნაკლებად იხმარებიან პროფესიის სწრაფად დაუფლებაში, არ სწავლობენ მათს მატერიალურ პირობებს. ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს არტელ „უნივერსალში“, საქპურტრესტის გარაჟში და სხვ.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ ფრონტელთა ოჯახის წევრები—№1 სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი ამხ. მარგარიტა გალუმიანი, არტელ „მშრომელთა კავშირის“ სტახანოველი ამხ. თამარ გზირიშვილი, № 1 მექანიკური ქარხნის სტახანოველი ამხ. ა. პისარენკო, ბეუდვითი სიტყვის კომბინატის სტახანოველი ბარბარე გრიგორიანი, სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის სტახანოველი ამხ. მარო ახალაძე, არტელ „ფეიქრის“ სტახანოველი ამხ. მირიანაშვილი. ისინი მოუწოდებდნენ ფრონტელთა ოჯახის წევრებს ჩაებან სამუშაოდ საწარმოებში და ამით დახმარება გაუწიონ ფრონტს. კამათში გამოვიდნენ აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები. რომლებიც ამჟამად არ მუშაობენ—თ. ხამხაძე, კ. შუმანინა, ზინა მერაბიშვილი, რომლებმაც განაცხადეს, რომ გადასწყვიტეს წავიდნენ სამუშაოდ საწარმოებში.

დასასრულ გამოვიდა საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო დახმარების და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ვ. დვალი.

თათბირმა მიიღო მოლოტოვის რაიონის ფრონტელთა ოჯახების სტახანოველი წევრების მიმართვა რაიონის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ყველა წევრისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბაინით პურის აღება სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ფართობში. (კომბაინერი ა. მანჯაფარაშვილი).

ფოტო რ. აკოფოვისა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად

მცხეთა („კომუნისტის“ კორ.). მცხეთის რაიონის სოფ. საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრები გულდასმით გაეცნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ. დადგენილების საპასუხოდ მათ აიღეს კონკრეტული ვალდებულებები მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. ამ კოლმეურნეობაში მოსავლის აღებაზე მუშაობს ერთი სამალი მანქანა, ერთი თვითმკვრელი მანქანა და 16 მცელავი. 23 ივლისისათვის მოსავალი აიღეს 150 ჰექტარზე.

კოლმეურნეობაში დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლისათვის შექმნილია 2 ბრიგადა. ბრიგადირებმა კატო უდილაშვილმა და ელენე ჩქარეულმა საუკეთესოდ მოაწყეს თავთავების აკრეფა. მათ იკისრეს წელს აღებულ ფართობზე არ დასტოვონ არც ერთი თავთავი. კოლმეურნეებმა გ. უდილაშვილმა და ს. ბუდუკაძემ, რომლებიც დღეში 8.000 კვადრატულ მეტრზე იღებენ მოსავალს, იკისრეს ვალდებულება მოსავალი აიღონ 1 ჰექტარზე.

კოლმეურნეობა „განთიადი“ (თავმჯდომარე ამხ. კ. ბედაძე) წელს საშუალოდ ჰექტარზე 10-11 ცენტნერ მარცვლეულს იღებს და ვალდებულება იკისრა 6 დღეში დაამთავროს მოსავლის აღება, 1 აგვისტოსათვის შეასრულოს მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო ვალდებულება. ამ მიზნით უკვე მოაწყეს 6 კალო. ლეწვა სამხედრო ტემპებით მიმდინარეობს. კოლმეურნეობამ დამამზადებელ პუნქტს უკვე ჩააბარა 3 ტონა მარცვლეული.

აკ. ძერია

აღვაკვეთოთ პურეულის დანაკარგები

ქარელი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). მასობრივად დაიწყო თავთავიანი კულტურების აღება. ქვემო ლეთვთის მე-17 პარტყარილების სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. კაბისაშვილი) 10 სამუშაო დღეში საკუთარი ძალებით დაამთავრა მოსავლის აღება. მცელავები ნიკა და სანდრა ბაიდაურები, შაქრო და ვანო ბეგალაშვილები ორ-ორ ნორმას ასრულებენ ყოველდღიურად. წითელ არმიაში გაწვეული მამა შესცვალა შვილმა—18 წლის ნადია ბეგალაშვილმა. პატრიოტი გოგონა ენერგიულად უსვამდა ცელს მომწიფებულ ყანას და დღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებდა. წითელ არმიაში ჰყავს მამა 16 წლის გიგო გიკაშვილსაც, რომელსაც 1 ივლისამდე გამომუშავებული აქვს 228 შრომადღე და ამჟამად მოსავლის აღებაზე ყოველდღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. კოლმეურნეობამ დაამთავრა პურის მკა, წარმატებით აწარმოებს ლეწვას, უკვე მოლიანად მოიხადა ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე, ჰექტარზე იღებს 12 ცენტნერზე მეტ პურს.

ორგანიზებულად დაიწყო მოსავლის აღება ქარელის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ბერგეაძე). პირველ ხუთდღიურში 22 მცელავმა 100 ჰექტარზე მეტი პური მომკა. წარმატებით მიმდინარეობს მკა ხელით, მაგრამ ამ კოლმეურნეობის ფართობზე ქარელის მტს-ის კომბაინი ცუდად მუშაობს —15 ივლისიდან 23 ივლისამდე მხოლოდ 7 ჰექტარზე აიღო მოსავალი. ბერძენაულის კოლმეურნეობა „წითელ სხივში“ (თავმჯდომარე გ. გურგენიძე) ყოველდღიურად მუშაობს 20 მცელავი, რომლებიც 12-15 ჰექტარს თიბავენ დღეში. ქალები და მოზარდები ჭრეფენ თავთავს. ამ კოლმეურნეობაში თანმიმდევრულად მიმდინარეობს ლეწვა და სახელმწიფოსთვის მარცვლეულის ჩაბარება.

მოსავლის აღებაზე დაუღალავად მუშაობს აგარის მტს-ის კომბაინერი კალმიჩენკო. მან წარმატებით შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 ჰექტარისა 7 დღეში 200 ჰექტარზე აიღო მოსავალი. მისი კომბაინი სრული ნაყოფიერებით მუშაობს.

მაგრამ მოსავლის აღების პირველი შედეგები მოწმობენ, რომ ზოგან ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. სოფელ წვერის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მ. გოგოლაძე) ახლად აღებულ ნამკალში, რომელშიც თავთავი აკრეფილი არ ი